

5490

26

1865

ГРУЗИНСКІЙ
ДУХОВНЫЙ ВѢСТИНИКЪ.

1865.

ІЮЛЬ.



საქართველო

სახული განვითარების დაწარებელი.

თბილისი.

ჩემი.



ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА и К°.

ПОДПИСКА

НА

“ГРУЗ. ДУХ. ВѢСТИНИКЪ”

продолжается и принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.; за одни прибавленія на русск. языкѣ, для особо подписывающихся, 1 р. с. По той-же цѣнѣ можно получать остающіеся экземпляры журнала за *первый* ($18^{64}/_{65}$) годъ.

Независимо отъ журнала продаются: “Общепонятное изложеніе догматического ученія Православной вѣры,, и “Жизнь Пресв. Богородицы,,—на груз. яз.—по 40 к. с. экземпляръ, съ пересылкою и безъ нея.

ხელისმთავრის უნინელობები მიიღება ტიფილისის სემინარიაში, ტე-
ლაკონის სახელზე. ფასი წლის უნინელისა, ესე იგი 12 წიგნისა,
ეს მიტანით და სხვა ქუთხებში გაგვავნით ხუთი მანეთი; მიუტა-
ნელი და გაუგვავნელი თოხი მან. მარტო რუსულისათვის ერთი
მანეთი. ამავე ფასათ შეიძლება გამოწერა დანაშთენის ებზემლიანე-
ბის წარსერული წლის უნინელისა.

ცალკე იხილება: “ადვილასასმენელად გამოხატუს მართლადიდებუ-
ლის სარწმუნოების დოდმატიკურისა სწავლისა,, და “ცხოვრება უოვლად-
წმიდისა ღუთისამობლისა,,—თუ აბაზათ თჯთუ ეგზემლიარი, გა-
გვავნით და გაუგვავნელად.

353²

5490

ГРУЗИНСКИЙ

ДУХОВНЫЙ ВѢСТИНИКЪ,

ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ЖУРНАЛЪ,

ИЗДАВАЕМЫЙ ПОДЪ РЕДАКЦІЕЮ

СВЯЩЕННИКА, МАГИСТРА ГЕОРГІЯ ХЕЛИДЗЕ.

ГОДЪ ВТОРОЙ.



საქართველოს

ხანგრიგი გამომცემი უკანასკნელი

მაფიცების, მღელების გოთხვის საჭიროებას მიეცავს.

წალი წლი და ბე.

1865.

ТИФЛИСЪ.

Въ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА и К°.

საქართველოს მეცნიერებათა და გამა სამართლი.



СОНД

Печатать позволяетя. Тифлисъ 20-го Августа 1865 года.
Цензоръ I. Сулхановъ.

ნაციულად წინა-სიტყუაობისა.

ერთმა მწერალმა სთქუა: „წინა-სიტყუაობა აუცილებელად საჭიროა ყოველი წიგნისა-თვისო„. მაგრამ ჩეცნს ჟურნალში უფრო საჭიროა იგი მეორე წლის დაწყების დროს, უმეტესად მათ-თვს, რომელთაცა არა პქონიათ შემთხვევა ამ ჟურნალის კითვისა და ჩეცნი საშუალობის გაცნობისა.

წინა-პირველად, უძველია, უოველი რედაქცია გამოსცდის ბევრს სიძნელეს, მწუხარებას და დაბრკოლებას; მაგრამ ჩეცნმა რედაქციამ გამოსცადა ესენი ყველაზედ უფრო მომეტებულად. დამაბრკოლებელნი და შემაწუხებელნი ჩეცნი მიზეზნი იყვნენ: დაუკმაყოფილებლობა რედაქციისა საშუალობითა, ნაკლულევანება კეთილ-საიმედოთათანა-შემწეთა და თანამშრომელთა და ცუდი წყობილობასტამბის ხელოვნებისა.- ჩეცნ ჟურნალის დაწყებამდინვე წინათ-ვიზილეთ ესენი, მაგრამ არა შევჰქონით გულითა, არამედ შტკიცედ მივჰყავით ხელი საქმესა ღუთის შემწეობითა და იმედითა,— და მაღლობა მეუფესა! პიეველი წელიწადი განატარა ჩეცნმა ჟურნალმა, და იწყო მეორე, ეგრეთვე ყოველად-შემძლებელის ღუთის იმედითა და კეთილი ადამიანების შემწეობითა. რაც შევიძელით—ვიშრომეთ და ვაკეთეთ, — და რასაც ვიშრომებთ და ვაკეთებთ ამ მომავალს წელში—იმასაც გამოაჩენს დროება და გამოცდილება.

ხოლო შესახებელად ჩეცნის წარსრულის წლის ნამოქმედებისა შეგვიძლიან ვსთქუათ. რომ ნაშრომი ჩეცნი არ

არის და არც დაშთება არაოდეს უსარგებლოდ საქართველოს შეინარჩუნა-თვეს: ჩემი მივიღეთ ამაზედ რაოდენიმე წერილები, ცხადად დამამტკიცებელნი ამ ჩემი სიტყვებისა. ბევრს მოეწონა განსაკუთრებით ჩემი-მიერ შედგენილი: „ადვილ-სასმენელად გამოხატუა მართლ-მადიდებელის ეკალესის დოლმატიკურისა სწავლისა,, და მთავრობამაც მიაქცია ამაზედ ყურად-ლება). ზოგიერთი ესრეთთა წერილებთაგანნი კიდეც დავტეჭდეთ ჟურნალში, როგორც უწყიან მკითხველთა, და უმრავლესნი დარჩინენ დაუბეჭდავად. მართალია, იმათში არის გამოხატული უფრო პირმოთნეობითი ქება ჩემი, ვიდრე ნამდვალი ლირსება ჩემის შრომისა; მაგრამ ცოტაოდენი სიმართლე და ჭეშმარიტება მაინც იპოვება მათში შესახებელად ჩემის ლურჯლისა. ამის მიზეზითა და ზოგი-ერთი სხუა გარემოების ნამდვილად ცნობითა ჩემი შეგვიძლიან ვსთკუათ, რომ ჩემი-მიერ მოგონებულმა ჟურნალმა ბევრი განაღინა, ბევრი განაცხოველა და ბევრს აღებინა კალამი ხელში პატიოსანი და სასიამოვნო მოქმედებისა-თვეს—სასულიერო მწერლობისა. ფრიად განგვაკვირვა ჩემი უფრო იმ გარემოებამ, რომ თკა ლრმა-მოხუცებულთა პირთაცა აიღეს კალამი და იწყეს წერა სტატიებისა და ქებითი ლექსებისა ჩემის უღირსებისა-თვეს;—ხოლო სხუანი, უფრო მშეიღნი და მდაბალნი გულითა, მარადის გვთხოვდნენ ჩემი ესრეთ: „ლურთის და ყოველი წმიდანების გულისა-თვის ნუ მოგვაკლებ ესრეთის სულის მაცხოვნებელის წიგნების კითხვას,,! ვგონებთ, ესიყო მიზეზი მისა, რომ ჩემი ჟურნალი პირველს წელიწადშივე საკმაოდ განვრცელდა საქართველოშითო-თქმის ყოველს წოდებაში, სხუა აქაურს ჟურნალებზედ უფრო.

რით მოიპოვა ჩემი შრომაშ ესრეთი ყურად-ლება მრავალთა? მით, რომელ იყი ბეჭდავდა და უძლვნიდა ყოველსა

ქრისტეს მართლ-მორწმუნება ხალხსა სასიამოვნო და სასარ-გებლო საკითხავს წიგნებსა, რომელნიცა ყველას შეეხებიან და ყველას არიგებენ კეთილს გზაზედ — მართალთა და ცო-დვილთა. და ვინ იქმნება ისრეთი უგონო კაცი — ქრისტიანე-თაგანი, რომ თავის საუკუნო სიკეთისა-თვს არა ზრუნვიდეს? მართალთა სიმართლესა შინა სიმტკიცე უხმს, ხოლო ცო-დვილთა — მოქცევა და სინანული! — შემწე და ზოგჯერ მი-ზეზიც ამისა არის სასულიერო წიგნების კითხვა და გულ-კეთილობით შეწყნარება. ამისთვის ჩუპენს ჟურნალში იძეჭ-დებოდნენ ისრეთნი სტატიები, რომელნიც შეეხებიან უფრო კეთილ-ზნეობასა და ქრისტეს სარწმუნოების ჰეშმარიტსა ცნობასა, ვიღრე უნაყოფოთა სწავლა-მეცნიერებათა, ამ-პარტავნების და ამაყობის აღმძევრელთა. მოსაპოებელად ანუ დასაკმაყოფილებელად ესრეთისა სწავლა-მეცნიერებისა საკმა-ოდ გამოდიან ჟურნალები და წიგნები სხუა-და-სხუა ენებჩედ, და განათლებულნი ჩუპენი ქართულები არა ზოგვენ ვეცხლ-სა და ოქროსა გამოსაწერად მათდა, მაგრამ საწყალი ხალ-ხი-კი რჩება შიდშილში და წყურვილში შესახებელად უსა-ჭიროესისა ცნობისა — სარწმუნოებისა. «ვითარ შეეძლოს მას ჰეშმარიტად ცნობა ღუთისა და ქრისტეს სარწმუნოებისა, უკეთუ არავინ იყოს წინა-მძღუარ და მასწავლელ მისა (საქმ. მოც. 8 31)? ჟველამ ვიცით, რომ ჩუპენში არ არიან — და არც ყოფილან საკმაოდ — ისრეთნი მქადაგებელნი და განა-თლებულნი საღუდელონი, რომ გამოთარგმანებით უთხრან ხალხსა ყოველივე ნება ღუთისა (იქვე 20, 27), — და დატევება მართლ-მაღიდებელისა ერისა სიბნელესა და უმეცრებასა შინა ღუთისა და წმიდისა სარწმუნოებისასა არის ცოდუა, უმძიმესი ყოველთა ცოდუათა და უსჯულოებათა.

საკმაო არს ეს, რათამცა ჩუპენც მხნედ განვაგრძოთ

ურომა ჩუბინი, და საზოგადოებამაც მოაქციოს ჯეროვანი ყურადღება ჩუბინზედ და ჩუბინს სასარგებლო შრომაზედ, და მოგვცეს შემწეობა.— უკეთუ ღმერთსა მოეცა ჩუბინთვს იმოდენი შეძლება, რაოდენიცა გუაქტს მხურვალება სსრწმუნოებისა და ქმათ-მოყურებისა ქრისტეს-მიერ, — არც საჭირო იყო ამოდენი ლაპარაკი წინა-სისტურაობაში; მაგრამ ღმერთმან უწყის—ვის რა მიანიჭოს და ვის რა მოაკლოს! — ბევრს აძლევს სიმდიდრესა და უხეებასა ყოველშივე, და მით უბნელებს გულსა და გონებასა, საჭმეთა მათთა-ებრ; ხოლო სხუჭი, საშუალ მწუხარებისა და ნაკლულევანებისა, აღანთებს სასანთლესა სარწმუნოებისასა და მით იძიებენ რახ იგი არს სახმარ (ლუკ. 10, 41). ამის-თვს იძულებით ფსთხოვთ ყოველთა და თვთოვეულთა, სარწმუნოების და მამულის მოყურეთა — აღმოგვიჩინონ შემწეობა განსაგრძობად და განსამშვენებელად ჩუბინ-მიერ დაწყებულისა შრომისა. შოველივე მცირეოდენი შემწეობა ჩუბინი, ჟურნალის გამოწერითა ანუ სხუჭისანთა, მიიღება ვითარცა მსხვერპლი საკურთხეველსა ზედა საზოგადოესა კეთილ-წარმატებისასა, და გამოიღებს ნაყოფსა მოწყალებისასა მრავალთა-თვს. — და უეპეველია, რომ კეთილ-გონიერი შთამომავლობა ქართულელთა მადლობით და სიყრარულით მოიხსენებს ოდესშე სახელებსა ყოვლად-პატიოსანთა მამათა და ქმათა, რომელნიცა შეგვეწიენ ანუ შეგვეწიან წუბინ სტატიებითა და საშუალობითა — ჟურნალის გამოწერისა-მიერ. ზასი ჟურნალისა არის ისე ზომიერი, რომ არავის არ გააღარიბებს, არავის არ გაუძნელებს გამოწერას, ვისაც აქუს-მხოლოდ ცოტა სურვეილი სასულიერო წიგნების კითხვისა და სიყრარული თავის ენისა.

ამასთანავე ვალი ვაჭრს გამოვაცხადოთ განათლებულს საზოგადოებაში ნამდვილი სიმართლე და კეშჩარიტება, თუმ-

კა სასირცხვო და სამწუხარო, შესახებელად ერთისა ფრიად შესანიშნავისა გარემოებისა. ესე იგი: სამწუხაროდ ჩუბნდა და სასირცხვოდ ჩუბნის წოდებისა და ენისა, ზოგიერთნი თანამანი ჩუბნნი—მ. ბლალოჩინები საქართულოს ეპარქიისა— დაშონენ სრულიად ყურადღების მიუქცეველად მათის მთავრობის ბრძანებისა და ჩუბნის რედაქციის შრომისადმი. რომელთაც უნდა განალეიძონ სხურაში სიყრარული და სიხალისე კეთილისა საქმისა, იგინი თვით აღმოსჩნდნენ გულ-ცივად და უგრძნობელად კეთილ-მსახურების გონიერისა დასაბამისა. წოდებულნი ნათლად სოფლისა მოერიდნენ განათლებასა!.. რას უნდა მივაწეროთ, მაგალითებრ, ისა, რომ საქართულოს ჩინებულნი სობოროს ვკვლესიები, რომელნიც იყვნენ ძველად საკათედროდ ჩინებულთა მღულელთა-მთავართა და დღეს არიან მღიდარ-სამრევლოდ, იმყოფებიან ისრეთს ლარიბს ანუ ბნელს მღვიმარეობაში, რომ არა აქტით სურვილი გინა შეძლება-გამოიწერონ ერთი პატარა სასულიერო ჟურნალი საკუთარს ენაზედ და საკუთარის საჭიროებისა-თვს? ვისაც როგორ ენებოს—ისე იფიქროს ამაზედ,—და ჩუბნ ნამდვილად უწყით, რომ რუისის სობოროს (გორის უეზდში), სადაცა მღულლობს მ. ბლალოჩინი მ..., უნდა ჰქონდეს შეძლება და სურვილიც ხუთ-მანეთიანი სასულიერო ჟურნალის გამოწერისა... ჩუბნ ვამბობთ ამას, სხურათა შორის, მისთვის, რომ ჩუბნი ჟურნალი შეიქმნება ოდესმე ისტორიულ ფაკტად საქართულოს სამღულელოების ერთგულობისა და მეცალინეობისა განვრცელებისა-თვს სულიერისა განათლებისა თვსს წოდებაში და სამწყსოში.

ხოლო შესახებელად სხურათა აქაურთა ეპარქიებთა სიმართლე ითხოვს ვახსენოთ, რომ ფრიად საკმაო შემწეობა აღმოგვიჩინა წარსრულს წელში მინგრელიის ეპარქიამ,

განსვენებულის დესარიონ ეპისკოპოსის განკარგულებითა; ეგრეთვე—იმერეთისამ და აფხაზეთისამ; ხოლო გურიისამ—სრულიად არა-ეითარი,—ასე რომ ერთი წიგნიც არავის გამოუწერია მთელს ეპარქიაში, გარდა ერთისა უჩიტლისა.— არ ვიცით, ისე განათლებულნი ბრძანდებიან გურიის სამ-ლუდელონი და საერონი, რომ ახალი წიგნების კითხუა ჭარ-თულს ენაზედ სრულიად არ არის საჭირო მათ-თვის,— თუ ვერა გრძნობენ დიდსა საჭიროებასა, სარგებლობასა და სი-ამოვნებასა ამა საგნისასა!.. ვინც არ იცის ამ ეპარქიის გარე-მოება, იქმნება დაეთანახმოს პირველს წინა-დადებას, მაგ-რამ ჩუმბი-თვს უეჭველია უკანასკნელი!— და ესრეთ დავ-შთებით ჩუმბი მარადის ყურად-მღებელად და კეთილ-მსურ-ველად მოყურეთა და მოძულეთა ჩუმბითა და ჩუმბისა ჟურ-ნალისათა.

მღუდელი გიორგი ხელიძე.

10-სა ავგვისტოს

1865 წელსა.

უკელებანი იესო ქრისტეზედ; ოადსათვისაც ეწოდა
მას მეფე და წინასწარმეტველი.

კით. რით შეიქმნა დიდებული სოლომონ?

მიგ. სოლომონი, როგორც დაჯდა მეფედ, მაშინვე
შესთხოვა ღმერთსა სიბრძნე, რათამცა გონიერად
მართოს ხალხი. ეს თხოვნა იმნაირად მოე-
წონა ღმერთსა, რომ მან დაუკოვნებლივ მიანიჭა
მას უმაღლესი სიბრძნე და დააჯილდოვა აუარებე-
ლი სიმდიდრითა. სოლომონმა სისრულეში მო-
იუვანა წინათ დაწერილი დავითისავან საქმე: აღა-
შენა იერუსალიმის ტაძარი, ახმარა მას სულუკელა
მასალა, რაც შეამკობდა და დააშვენებდა ტაძარს.
სოლომონმა დაიპურა გარეშემო რაც კი რამ მტე-
რები ჰქვანდა და გასწია სამძღვანო ისრაელთ სამე-
ფოსი ეფრატამდინ, ამიტომ განითქვა მისი სა-
ხელი შორს ქვეენებშიაც.

კით. რომელი დედოფალი ეწვია სოლომონს?

მიგ. სოლომონის ბრძნული შეფობა და ხალხის კუ-
თილმძართველობა, მტერებზედ გამარჯვება, სა-

ხასლის შევენიერად შემკობა და სიმდიდრე ისრე გაითქო უცხო ქვეებში, რომ მრავალთა ისუ- რვეს მისი პირ-და-პირ ნახვა. არაბეთის (საბაელთ) დედოფალი მავიდა სანახავად დიდმალი ნიჭები- თა, ე. ი. საჩუქრითა; მან ბედნიერად უწოდა სოლომონის ქვეშვრდომთა ისრაელთა და მსა- ხურთა, და იმის დიდებით განკვირვებულმა ჟსთქუა: რომ რაც თავის თვალით ნახა იმის დიდება, უფრო აღემატება იმ დიდებას, რასაც იმაზედ შორით ამბობენ.

კით. დაიცუა თუ ვერა სოლომონმა სიბრძნე და კეთილმსახურება მთელს თავის სიცოცხლეში? მიგ. სოლომონმა ვერ დაიცუა სიკვდილამდინ თავის კეთილ-მსახურება. ის მიეცა კერძოთაფვანისცე- მას, უწომოდ და უგონოდ ქალების სიუშარული- სა-თკს, რომლისაგამო ჭიერნდნენ მას სამოც და ათი სჯულიერი ცოლი და სამასი ხასა; ზოგნი მათგანნი იუვნენ წარმართნი, ამისთკს სოლომონ- მა ააშენებინა საკურთხეველი მათის კერძები-

სათვის და თითონაც ჩან-და-ხან თაუვანის სცემდა
მათ ცოლების გულისათვის. ამისათვის ღმერთმა
გამოუცხადა მას, რომელ მისი სამეფო განიერ-
ფება, და ათი ტომის შთამომავლობა არ დაეძორჩი-
ლება მის საკუთარს მემკვიდრეს. სოლომონი მო-
კვდა 40 წლისა მეფობის შემდეგ. მან დასწერა სა-
მი წიგნი: იგავნი, ქება ქებათა და ეპკლესიასტი.
კით. როგორს მდგომარეობაში იყო ისრაელთა სამე-
ფო შემდეგ სოლომონის სიკვდილისა?
პიგ. ისრაელთ სამეფო შემდევომ სოლომონის სიკვ-
დილისა განიერ თონად. იეროვოამმა, სოლომონის
მონამ, გაიევანა თავისკენ ათი ტომის შთამომავ-
ლობა, და შეადგინა სამეფო ისრაელთა; ხო-
ლო როგორამს, სოლომონის მეს და მემკვი-
დრესა, დარჩნენ მარტო თორი ტომის შთამომავ-
ლობა, იუდასი და ბენიამინისა, რომელთაც იმ
დოოდგან ეწოდა იუდიანთ სამეფო.
კით. რავდენი მეფენი ირიცხვებიან იუდიანთ სამეფოში
მის დაცემამდინ?

მიგ. იუდიანთ სამეფოში მის დაცემამდინ ირიცხვებიან 20 მეტენი. ისინი იუვნენ, უმეტეს ნაწილად, უღვთონი, კერპთ-თაუვანის მცემელნი, და სცხოვრებლენენ ისე, როგორც აკონებდა მათ მათი ბოროტი გულის-თქმა და წადილი. მხოლოდ ოთხნი მეტენი არიან შესანიშნავნი საკუთრითა ღურულის-მსახურებითა: ასა, იოსაფატ, ეზეკია და იოსია.

კით. რაში მდგომარეობდა კეთილ-მსახურება ასა და იოსაფატისა?

მიგ. ასამ დააქცია კერპების მსხვერპლთა შესაწირავები, რომელნიც ააშენეს მისთა წინაპართა, და აღაღვინა სჯულიური მსახურება ჭეშმარიტისა ღურულისა. იოსაფატმა, ძემა და მემკვიდრემა მისმა, გაგზავნა ლევიტელნი და მეცნიერნი კაცნი, უკელა მხარეს თავის სამეფოში, რომ ასწავლონ ხალხს უკელა-ფერი, რაც კი შეეხებოდა ღურულის-მსახურებასა და ეკკლესიურს წესდებულებასა. ღმერთმა ამ მხრუნველობისათვეს მოსცა მას ძლევა ამო-

რეკლოთა და მოაბიტელთა ჭედა.

კით. რით იუო შესანიშნავი ეზეპიას მეფობა?

მიგ. ეზეპიამ, თავისი კეთილმსახურებისა და კეთილმოქმედებისა თვის, მიიღო ღურთისავან ძალი და შეწევნა, როდესაც ის ეომებოდა სენაქირიმს, ასურეთის მეფეს. რადგანაც ეზეპიას არა სურდა, რომ თავის წინათ-მოადგილესავით ხარჯი ეძლივა სენაქირიმისათვის, აძირომ უარისცმით ვანარისხა ასურელნი, რომელთაც შეჭკრიბეს დიდ-ძალი ჯარი და შემოურტენენ იერუსალიმს; დაქცევას და აოტებას უპირებდნენ სრულიად იუდეანთ სამეფოს. უკანასკნელ ისე განკადნიერდა ურწმუნო მეფე სენაქირიმი, რომ გაუგზავნა ეზეპიას წერილები გინებისა და ლანძღვისა ღმერთსა ჭედა იუდეანთასა. გულმოწყლულმა ეზეპიამ წაიდო ეს წიგნები ტამარში და ცრემლიანის თვალებით ევედრებოდა ღმერთსა, რომ მან გარდაუხადოს სამავიერო მის მგმობელსა და გამაუჩატიურებელსა მტერსა. ეზეპიას

ლოცვა ისმინა ღმერთმა. მეორე დაბეს, ზეცით
მოვლენილმა ანგელოსმა მოსწრევიდა 15,000
ასურეთის მხედართაკანი. სენაქირიმი შემრწუ-
ნებული ამ მოულოდნელი შემთხვევისაგან გი-
იქცა უკან, დარჩა ელველივე თავისი საუნჯე იმ
ალაკს, სადაც მისი ჯარი იუთ დაბანაკებული.
კით. კიდევ რა საკუთარი მოწყალება მიიღო ეზე-
კიამ ლჲითისაგან?

მიგ. ოოდესაც იუდეანთ მტრები დაქცევას. და აო-
ტებას უჩირებდნენ ამ სამეფოს, ეზეკია შევუ-
გახდა ავათ. წინასწარმეტეველმა ისაიამ წინათ-
ვე აუწეს, ოომ ის მოკვდება მალე. ამ ამბავმა
ეზეკია მალიან დააფიქრიანა და შეაწესა, რად-
განაც იმის სამეფო უბედურ მდგომარეობაში ი-
ყო და კარგი ჩატრონი ეჭირვებოდა; ამისთვის
სთხოვდა ღმერთსა, ოომ განეკრძელებინა დღე-
ნი მისი სიცოცხლისა; რათამცა დაარწმუნოს ეზე-
კია თხოვნის აღსრულებაზედ, წინასწარმეტეველ-
მა ჰქმნა სასწაული: მზის ჩრდილი საათზედ ათ

სარისხევდ დაბრუნა უკან და ამისთვის დღეც
უფრო განვრმელდა.

კით. რით იყო უფრო შესანიშნი იოსია?

მიგ. იოსიამ დააქცია კერტთა სამსხვერპლო, გააღვი-
მა და აღადგინა სალხში თავვანისცემა ჭეშმა-
რიტისა ღუთისა. იმის მეფობის დროს იპოვეს
დავიწევბაში მიცემულნი, მოსეს მიერ დაწერილ-
ნი სჯულის წიგნები. იოსია ამ წიგნებს თავის
სალხს უკითხავდა და ასწავლიდა სჯულსა უფ-
ლისასა; შეჭვიცა თავის ქვეშვრდომთა, რომ
თითონაც ნამდვილად აღასრულებს სჯულის მც-
ნებათა, და აუწეა რომ იმათაც ვალი აქტი
მტკიცედ აღასრულონ იგინი. იუდიანნი ამ გვა-
რად დამთხენ ერთგულნი მოსავნი ჭეშმარიტისა
ღუთისა მთელს თავიანთ სიცოცხლეში.

კით. როგორი ბოლო ჭქონდა იუდეანთ სამეფოსა?

მიგ. სხუა იუდეანთ მეფეების ურწმუნოებამ და ბო-
როტ-მოქმედებამ იძულებელუჭეო მრავალ მოწ-
ვალება უფლისა, რომ დასაჯოს გარევნილნი მე-

ფენი და მათი ქვეშევრდომნი. იმათთვის ღმერ-
თმა მისცა იუდეანი ხელთა ნაბუქოდონისორ ბა-
ბილონის მეფისათა, ოომელმაც განცარცვა და
ძირიანად აღმოფხვნა იერუსალიმი მშვენიერად
შემკული სოლომონის ტაძრით, და სედეკია,
უკანასკნელი იუდეანთ მეფე, მისი სახლობით
და ხალხით ტევეთ წაიუვანა ბაბილონს. ეს იყო
589 წელსა ქრისტეს შობამდინ.

კით. ოავდენნი მეფენი იუვენი ისრაელთ სამეფოში?
მივ. ისრაელთ სამეფოში ირიცხვებოდნენ 19 მეფენი,
ოომელნიც ჟამითიუამად მიეცემოდნენ უღუმეო-
ბას და ურწმუნოებას. იერობოამმა გაიუვანა ათი
ტომი, ანუ შთამომავლობა, იუდეანთ სამეფო-
დგან თავის მხარეს, სოლომონის სიკვდილის
შემდეგ, და აღუმართა მათ კერპები-ოქროს ხბო-
ნი ქალაქებში: დანში და ბენელში. ამ ტეუ-
ილ და ამაო ღმერთებისათვის მალუდატანებით
თაუგანსაცემინებდა თავის ქვეშევრდომთა, ნა-
ცვლად ჭეშმარიტისა ღუმისა. ამის შემდგომ-

ნი მოადგილები მასვე ბამავრნენ ბოროტემსახუ-
რებაში, ხოლო აქაბი აღემატა მათ ეველას თა-
ვისი უბეთური ელფა-ქცევით. მან შეირთო სი-
დონის შეფის ქალი—იქნაბელი და აღუშენა შისი
რჩევით სამსხვერპლო კერპსა (ბაალს).

კით. ვინ გამოუცხადა მას ამ დროს მომავალი კო-
ლვა მისი უღმრთოების დასასჯელად?

მივ. წინასწარმეტეველმა ილიამ გამოუცხადა აქაბს,
რომ იმის ურწმუნოების დასასჯელად სამ წე-
ლიწადს არ იქნება იმის სამეფოში წვიმა, და მარ-
თლაც ასე მოხდა. შიმშილის დროს, რომელიც
წარმოსდგა უწვიმროებისაგან, წინასწარმეტეველი
წავიდა ერთს გამოქვაბულში, სადაც უფავნი უზი-
დამდნენ მას, ღუთის ბოძანებით, სასმელსაჭ-
მელს. შემდეგ ის წავიდა სარეპტაში და მივიდა
ერთს ღარიბს ქვრივს დედაკაცთან, რომელ-
საც ჰქონდა მხოლოდ ერთი მუჭა ფქვილი და
ცოტაოდენი ზეთი. ილიამ ლოცვა კურთხევით
ისე გაუმრავლა ეს მცირე საზრდელი, რომ არც

ფერილი და არც ზეთი არ შემოჭილებია იმ ქვით დედაკაცს, ვიდრე შიმშილის წელიწადნი გარდაივლიდნენ და წვიმა დაიწევებოდა.

კით. ოა სასწაულები ქმნა კიდევ ილია წინასწარმეტეველმა?

მივ. ამ წინასწარმეტეველმა ჯერ ქმნა მრავალნი სასწაულნი: გულმხურვალე ლოცვითა აღადგინა მკვდარი, შვილი სარეტის ქვრივისა, რომელთანაც ისა ჰსცხოვრებდა. შემდგომ ძობრუნდა აქაბთან და ამხილებდა ბაალის მოვეთა, რომელთაც ვერ გამოსთხოვეს ცეცხლი მსხვერპლის შესაწველად. ხოლო როდესაც ილიამ შეამზადა მსხვერპლი ჟეშმარიტისა ღურთისადმი, თანადა-სწრებითა მეფისა და ბაალის მოვეებისათა, მხურვალე ლოცვის შემდეგ გარდამოვიდა ცეცხლი ზეცით, რომელმაც შესწავა მსხვერპლი. ამ სასწაულებით მოაქცია ილიამ აქაბი ჟეშმარიტისა ღურთისადმი. ამ დროსვე აღუთქვა ჩალხს, რომ ცოტა ხნის შემდეგ წვიმაც მოვა. მართლაც მო-

კიდა იმ წამსვე, ასე რომ აქაბმა შინ ვერ მო-
ასწრო წვიმას.

კით. რა იწინასწარმეტეველა ილიამ იურობოამის მე-
ფიობის დროს?

მიგ. ისრაელთ მეფის იურობოამი სდროს ბენადადმა,
ასურეთის მეფემ აიღო სამარია და არავის ატან-
და იქით სასმელ-საჭმელს, ამის გამო ისე გა-
მრიელდა და გახშირდა შიმშილი იქა, რომ დე-
დანი იძულებულ-იყვნენ თავიანთ შვილების ხორ-
ცი ეჭამათ და იმითი განეგრძელებინათ თავიანთი
საკუთარი სიცოცხლე. ამ დროს ილიამ წინასწარ-
აუწეა იურობოამს, რომ მეორე დაღეს სასმელ-
საჭმელი მოჭარბებულიც იქმნება და ქალაქის
მცხოვრებთ შეეძლებათ უფასოდ გული იჯერონ
საზრელით, რავდენიც ნებავთ. ეს წინათ უწევება
მართლა ახდა ნამდვილად. ბენადად მეორე ღამეს
შეფიქრიანდა რაღაც სასტიკი ხმაურობით და უკუნ-
იცა სულ თავის ჯარით და ამაღლით. დაუტევა
ადგილი ივი, სადაც დაბანაკებულნი იუპნენ უოვე-

ლივე თავის ლაშქრის ნუზლით და საკმლით. ის-
რაელი მსწრაფლ დაეპატონებ ამ ძვირ ფასს
მათთვის სარჩოს. ამის ვამო მეორე დღეს ქალაქში
უკელა-ფერი გაიაფდა.

კით. რა სასწაულები ვამოჩნდა ილია წინასწარმეტ-
ეველზედ იმის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში?
მიგ. ილია, უკანასკნელ დღეებში თვისი ქვეეინურ სი-
ცოცხლისა, აღტაცებულ იქმნა ზეცად ცოცხლივ-
მან გარდასცა ნიჭი და მადლი წინასწარმეტევე-
ლებისა ელისეს, რომელიც იუო წინასწარმეტ-
ეველად ისრაელთა შორის ილიას შემდგომ.

კით. ჰქმნა რამ სასწაული ელისე წინასწარმეტეველმა?
მიგ. ელისე წინასწარმეტეველმა, მიიღო რა ილიასა-
გან ნიჭი და მადლი წინასწარმეტეველებისა, მო-
უცა მას მალი სასწაულ-მოქმედებისაცა: მან გას-
წმიდა წეარო, რომელიც არვარგოდა სახმარე-
ბლად; ილიას ზეცად აღტაცების შემდგომ რომ
უკან დაბრუნდა ელისე, მას ჰატარა ემაწვილები შე-
მოხვდნენ გზაზედ და დასცინოდნენ; ამ კადნიერე-

ბისა და ბრიულბისათვეს დასწულევლა იგინი წინასწარმეტეველმა, და მაშინვე ტეიდგან გამოსულმა ძუღათვებმა განვლიჯეს იგინი; სამარიაში მოვალეებს სურდათ ერთი ქვრივი დედაკაცისათვეს გაეყიდნათ შვილები, ოდგანაც მას არა ვითარიმე ღონისძიება არა ჭიქონდა ვალი გარდაეხადნა; იმის სარჩო საბადებელს შეადგენდა მხოლოდ ცოტაოდენი ზეთი, რომელიც იპოვებოდა იმის სახლში. ელისემ იმ გვარად ვაუმრავლა ეს ზეთი, რომ იქიდგან ზოგი გაჭეიდა და ვალი გარდესადა მოვალეებს, ხოლო ზოგი შვილებისა და თავის თავის საზრდოდ მოიხმარა. აკრეთვე აღუდგინა მომკვდარი შვილი ერთს დედაკაცს, განკურნა ნემანი სირიელთ მხედარი მთავარი კეთროვნებისავან.

კრთ. რითი დაბოლოვდა ისრაელთ სამეფოს არსებობა?

მივ. ისრაელთ მეფენი წინასწარმეტეველების ქადაგებას და სასწაულთ მოქმედებას, რომლებმიც ბრწყინავდა მაღლი და დიდება ღურთისა, სულ ეურსაც არ უკრებდნენ, და იუვნენ შთაცვივნულნი მა-

რად ბოროტმსახურებაში. ამ საქმეში, რასაკვირ-
ველია, მათი ქვეშვრდომნიც მათ ჭბაძავდნენ, ამი-
ტომ დმერთმა მისცა მათი სამეფო ასურელთა.
სალმანასარმა, სამი წლის ომის შემდეგ, აიღო სა-
მარია, წაიუვანა ტცვეთ ოსია, უკანასკნელი შევე
ისრაელთა, ნინევში, მთელი მის ამალით და
ქვეშვრდომი სალხით, როდესაც კიდევ 728 წელიწა-
დი იუთ დარჩენილი ქრისტ. შობამდინ.

კით. განა სულ არ იუპნენ კეთილმსახურნი კაცი შო-
რის ისრაელთა ტუვეობის დროს ასურეთის ქვე-
უანაში?

მიგ. საღმრთო წერილი განსაკუთრებით ისსენიებს
ტობიას სახელს, რომელიცა იუთ ტუვეთ ნინევია-
ში. ეს კაცი იუთ კეთილმოქმედი და ღუთის-
მსახური, ამისთვის საკუთარის სალისით ჭირუნავ-
და დაუვლიდა თავის შეერთმამულება, განბნეულთა
კრცელს ბაბილონის ქვეუაში: განიღებდა მათზედ
უხვად მოწყალებასა, განსაკუთრებით ვისაც უფრო
უჭირდა ცხოვრება, მარსავდა უბაზრობი მკვდარ-

თადა მრავალს ამ კვარს კაცო-მოუვარულ საქმეებს იქმოდა; ამისთვის მტრები ხშირათ მრავალუკვარ უჩატიურებას მიაუენებდნენ, უფრო მისთვის, რადგანაც ისრაელთ სდევნიდნენ და ხოცავდნენ; უძლიდნენ, რომ არავის მიეცა მათთვის არა ვითარიმე შემწეობა. მას ჰყვანდა მე ტოვიტი, რომელიც ჸიბა-მავდა მამას სულ-უველა ფერში, ამისთვისაც იყი ვანსაკუთრებით უევარდა ღმერთსა.

კით. რომელნი პირნი იუვნენ სხვაზე უფრო შესანიშნავნი იმ დოლებში?

მიგ. როგორც ტევეობამდინ, აგრეთვე შემდგომ ტევეობისა იუდეანთ და ისრაელთ სამეფოებში სცხოვრებდნენ წინასწარმეტეველნი, რომელნიც მოქმედებდნენ ზეგარდამო შთავონებითა სულისა წმიდისათა: იგინი წინათვე აუწევდნენ მომავალსა, ამხილებდნენ მეფეთა და სალტა უღრმთოებაში და ბოროტამსახურებაში და ასწავლიდნენ ჭეშმარიტის ღუთის თავებანისცემას.

კით. რავდენნი იუვნენ წინასწარმეტეველნი?

მივ. წინასწარმეტეველნი, ოომელთაც დასწერეს და
დაგვიტევეს სალმრთო წერილები, იუვნენ 16. მათ-
გან უწარჩინებულესნი არიან: ისაია, იერემია,
ეზეკია და დანიელი. მათ წინათვე აუწეს სალხს
ეველა უმთავრესნი შემთხვევანი, ოომელნიც უნდა
მოხდენილ-იუ იესო ქრისტეზედ, მის ქვეუნიურ
ცხოვრებაში; წინათვე იტეოდნენ მომავალთა სნეუ-
ლებათა და მრავალ-კვართა უბედურებათა, ოომ-
ლებითაც მართლ-მსაჯული უფალი ამხილებდა
და აფხიზლებდა თავის ერს სასტიკი სასჯელე-
ბით, როდესაც ებრაელნი თავის შემოქმედს და
გამომსხნელს ივიწევებდნენ. სხვანი წინასწარმე-
ტეველნიცა იქმოდნენ მრავალთა სასწაულთა,
მაგრამ არ დაგვიტევეს არა ვითარიმე წერილნი.

კით. რაზედ წინასწარმეტეველებდა ისაია?

მივ. ისაია წინასწარმეტეველებდა იესო ქრისტეს
შობაზედ, ვნებაზედ და მკურნეთით აღდგომაზედ,
ეპრეთვე წინასწარმეტეველებდა იუდეანთ სამე-
ფოს დაცემაზედ. როდესაც ებრაელთა ძეინანეს

დარიგება სასულიერო სასწავლებელის მოწაფეთა შე-
სახებ მათის თანამდებობისა. (*)

— — — — —

37. კვირა, უძმე და საუფლ დღესასწაულ დღეებში წადი ეპ-
კლესიაში ღურთისმსახურების მოსამენელად, და პატივუც იმ
დღეებსა, ოოგორათაც ღურთისაგან კურთხეულსა განსვენებისათვს.

38. ეპრეთვე, დღესა შენის სახელწოდებისას წარპედ ეპ-
კლესიაში, მსურვალებულით ეპედოე ზეციერსა მოგარენელსა, ოომ-
ლის სახელიც შენ გრძვია (გძვს,) და განატარე სრული დღე
უურადღებით და სიფრთხილით, ოომ არ განარისხო იგი არ
ოომლითამე ცუდისაქცევითა; არამედ ეცადე რომ შესწირო მას
საკუთარი სიხარული შენის გეთილუნებითი ცხოვრებითა და
ქცევითა.

39. ეცადე, რომ იცოდე და კეთილურიძალულებით პატივ-
უცე იმ დღესაცა, ოომელშიაც აღსრულდა შენ ზედა საიდუმლო
წმიდის ნათლისლებისა, ეს დღე არის შენთვს განსაკურთხებითი
პატივ-საცემელი შენს სიცოცხლეში; იმ დღეს შეხვედ შადლით შე-
მოსილი ქრისტეს სამეუფლეოში; გახდი ძედ და მემკვიდრედ ღურთისა.
იმ დღეს მოცემულ-არს შენთვს მასწავლებლად და მოძღვრად იმ
წმიდის გარდა. ოომელის სახელი შენ გძვს, სხვა ზეციური ზედა-

(*) დასაწყისი იხილე იკნისის წინგში.

შედგელი, ეს იტ, მფრიველი ანგელოზი. წილა ჰევ ეს დღე, როგორთაც უუბირველესი დღე შენს სიცოცხლეში; შენს დიღის დოცუაზედ წიკითხე „კანონი,, მფრიველი ანგელოზისა; ეცადე რომ მოიხმინო იმ დღეს სადაც ადრე იყოს წირვა, თუ ის დღე იყოს შენთვის სწავლის.

40. განხოვდეს და პატჩ-ეც სხუა დღეებსა, რომელთა შინა გა-
მოსწენდა კუთილუმოქმედება ღურთისა შენთვის, აგრეთვე დღეთა ანგე-
ლოზისა და შემძელთა შენთა გადაცვალებისა და კუთილის-მეორე-
ლოზის; ამ დღეებსთაც დომინიკის კუდით სთხოვე დმერთხსა სიცო-
ცხლისა და განხვენებისათვის სულთა მათთა. და როდესაც გაიზ-
დები და გეჭმება შეძლება ამ დღეებში დაუზარებლივ წადი კალ-
ხიაში და გადასხდევინე მღრღდელსა პარაგლისი ანუ პანაშვიდი.

41. ეცადე, რომ მიხვიდე ეპკლებიაში, ღურთის-მსახურების მო-
სახმენელად თვის დროზე, და როდესაც მიხვიდოდე გზაზედ ში-
შითა ღურთისათა განიზრებე და ივიქრე შენს ცხოვრებაზედ და შენს
საჭირებაზედ, რომელთათვისაც შენ უნდა ეკედრო დმერთხსა; სოდო
უწინარებ ყოვლისა მოიგონე შენი უდირხეობა. იმ დროს ნურავის-
ზე ნუ გეჭმება ცუდი გუდი. ეს იქმნება შენის მხრით მომზა-
დება კედრებისათვის ღურთისა ადგრულებასა ზედა მცნებისა მისისა;
„ პირველ კიდრე მოკლებისა განუმზადე თავი შენი, და ნუ იქმნე-
ბი კითარცა გაცი გამცდელი უფლისა „(ისა ჭირ. 18, 23).

42. როდესაც შეხვად ეპკლებიაში და დაიხსნავ წმიდათა სა-
ცითა, მაშინ წარმოიდგინე, რომ თვალი უფლისანი და უოველთა
წმიდათანი შენ გხედვენ, შეჭრიბე საგრძნობელი შენი შიშს შინა
ღურთისასა და დახდებ შიშით დაკრძალულებით: „დაიცეპ ფერხნი
შენნი, ოდეს უკეთუ კიდოდი სახლსა შინა ღურთისასა და მიუხსე
რომელ სმენად,, (ეპკლ. 4,17).

43. რომ შეხვიდე ეპკლებიაში, შიშით დაკრძალვით თაუკანი-
უცა წმიდათა საცითა სინაუდის დოცვებით: „დმერთო განმწმინდე მა

ცოდვილი და შემიწყელე მე,,! „შემოქმედო უფალო, აღხორებ ცოდების ჩემნი!,, „ურიცხვად შეგცოდე, უფალო შემიწყელე მე!,, შემდგომ მოწიწებით თავი დაუკარ არხავე მსარეს შენ წინმდგომალება და გონიერით ჭიროვა უკედას შენდობა შეცოდებათა, მცნებისაუბრ იქნო ქრისტეს (მათ. 5, 23, 24).

44. ეპელებიაში დახვევ იმ ადგილს, რომელიც დაგენიმნა შენის მთავრობისაგან. იმ დღეებში, როდესაც სახულებელის წესდებულებით შენ არა თანამდებარი რომ იუთ ეპელებიაში, მაგრამ თავის უფალი კი სარ სწავლისაგან, მიდი ეპელებიაში გულმხურ-კლებით, როგორათც სახულიერო მოწივე დახვევ თუ შეიძლებოდეს საწიგნებთან და მაილე მონაწილეობა კითხვასა და გადო-ბასა შინა. წმიდა ციხონი კორონეულის თავის ინსტრუმენტი ქ-რეთ არიგებს სემინარის მოწივებს: „ეპელებიაში უკედანი განურ-ჩებულებედ უნდა დახვებეთ საწიგნებთან, რომ ინწავლოთ კითხვა, გა-გადობა და სხეული. (Сочин. Тих. т. 1. стра. 47)

45. როდესაც შეხვიდე ეპელებიაში, გაიარე წესრად, ხიშმვი-დით და ხიფრისილით, წარმოიდგინე თვალშინ, რომ თუთ გმურ-თი და უოველი წმიდანი შენ გხედვენ. გაიგდი რა აღხავდის გ-რების წინ და საგურთხეველში ახლოს ტრაპეზისა, თავკანიუცი წინაშე მათხა შაშითა და კრძალებითა, რომ თუთ ტეციერნი ანგა-ლოსნიცა იმურიების შიშითა და ძრწოლით.

46. თუ გვიან შეხვიდე ეპელებიაში წირვაზედ, რომ კითხუ-ლობდნენ სახარებასა, მაშინ დახვევ შეხსვად კარგებელებე ხიფრთხი-ლით, რომ არ გამოუცვალო აზრი და ფიქრი შემქნელთა, დაიწერე პირველი და უკრადებით მოიხმინე შენცა სახარების კითხვა; შემ-დგომ წარკითხვისა დაწსდებ შენს აღაგს თავანის-მცემელი ღუთო-ბას. და თავმდაბლათ დაუგარ თავი შენს წინმდგომარეთა.

47. თუ ძალიან საჭირო ხაჭმა არა გჭონდეს. ხუ გამოხვალ მბელებიადგან წირვის გათავებამდინ. ჩამოლეცვის დროს, ხადაც არ

იურა ჩვეულება ჯურის გამოხვენების საფხის სამთხვევლად, შენ, როგორათაც სასულიერო მოწავე, უმეტეს სხურავი, უნდა ეძოხვით აღმენებამე წმიდა სატესა — მაცხოვრისა ანუ ღურთის-მშობლისსა, და ჭავრით შევედროთავი შენი იმ დღეს და უოველდღე მათსა მოვარეობასა შინა.

48. ეკლესიიდგან რომ გამოხვიდე, გზაზედ მოიგონე რა წაიკითხეს, ან რა იგაღობეს, განსაკუთრებით დაავუმნე შენი გონება სასარების და სამოციქულოს კითხვას ჰედა, და დაისხოვე რა დარიგება მოგცა შენ ამით წმიდამან ეკლესიამან. გამოდიოდე რა ეკლესიიდგან, შესწირე გულითადი მადლობა დმერთსა, რომ მან ღირს-გურ შენ სიღვად საღმრთო მოქმედების აღსრულებასა.

49. იქმნები რა საღმრთო აღსრულებაზედ, აქეთისია ნუ პიხედავ სალსსა, ნურც გაირევნები ბოროტის ჭავრითა, არა-მედ მტკიცედ იმოქმედე დოცების მაღითა და მიაქციე სახე შენი წმიდის სატებისაკენ და განიზრახე მნიშვნელობა და უაღრესობა ღურთის-მსახურებისა. წმიდა ტისონი უწერს სემენარიის მოწავებს: “იდგეთ რა ეკლესიამი, ეცადეთ რომ დაიცვათ თავნი თქვენი უ-ჯერო ლაპარაკისაგან და სიცილისა და სხურავი უძარის მოქმედებათა; არამედ მხოლოდ უური ადგვნეთ კითხვასა, გალობასა და ლო-ცებასა. (тамъ же).

50. იქმნები რა ეკლესიაში გულს-მოდგინებით თვალუური ადგენე უოველს საღმრთო წესის აღსრულებასა, რომ კარგად ისწა-კლო დაიხსომოთ თუ როგორ ის ანუ სხვა აღსრულდებიან, და ამ სახით წინათვე მოამზადე შენი თავი მომავალის უმაღლესის მსა-ხურებისათვეს, თუ ღმერთი გადიოსებს.

51. ეკლესიაში ეცადე, რომ არ დასცინო მკითხველსა, მგ-ლობელსა და წმიდათა სატოა დამსვენებელსა; თუ ნახო იმათში ნა-კლულებანება რამე, და არ ჩავარდე იმითი მძიმე ცოდვაში. იმ წამხ-

კე მოიგონე შენი საკუთარი ხავლულებანება და სთხოვა დმურთხა
შენის ცოდვების მოტევება.

52. ისე იყავ მონაწილე შენის უურადღებით უოველს საკან-
ძი, რაც წაიკითხეს და იგალობებს წირვალოცურაზედ, რომ უოველი-
კე ესე იგრძნო, ორგორათაც ადმისრული შენის საკუთარის ხუ-
ლისაგან. თუ იმ დროს წარმოგიდგნენ ცუდნი განზრასვანი, მა-
შინვე შექმნებე კვარსა უფლისასა, განიზრასე მაცხოვრის პნებაზედ და
შენს ცოდვებზედ, რომელთათვესაც იგი კვარსუცუა, — და ესრული
ქათილი განზრასვანი ადმისრული შენ შორის ეკვლებიაში უპარი-
ჭაზრებთა.

53. იქმნე რა მონაწილე სულითა საკეთლებით კითხვასა და
გალობასა შინა, გამოსატე ესე გარეგანის ნიშნებითაც: დასდეგ სწო-
რედ და გეთილწენიერად. კედრებანი და თხოვანი შენი ადამიადლე
უფლისადმი პირუვების წერით და მუხლუმოდრეკით; როდესაც მღე-
დელი გარდასცემს ხალხსა მშვიდობასა ანუ კურთხევასა ღურთისასა,-
მაშინ შენც მოიდრიკე თავი, ორგორაც რიგია.

54. “რომელი ქერძიამთა,, გალობაზედ, სადმოთო ძლიერია
გამოხვენების დროს მოიდრიკე თავი და მოიხსენე დღეგრძელობისა
და განსკუნებისთვის მოუტანი შენი. სახარების წარკითხვის და მრ-
წამსის გალობის დროს დაიწერე პირუვარი და გულსმოდგინებით
მოიხსენე კითხვაცა და გალობაცა. სამაგრის “ალლილუა,, და “წმი-
დაო დმურთო,, თქმის დროს ქშენ ჯეროვანი თაყვანი; ხოდო
“მამაო ჩვენოს,, გალობის დროს მოიყერე მუხლი. უოველი ეს
რიგები უნდა დაიცვა და აღასრულო იმისთვის, რომ მიუცილებე-
ლი კალია შენი, და იმისთვისც რომ იყო მაგალითი სხვათა, რო-
მელთათვესაც ეს რიგები ისრე ცხადი არ არის, ორგორათაც შენთვის.

55. სადმორთო-მსახურების აღსრულებაზედ, მოიგონე მნიშ-
ვნელობა თვითოულის ეკვლებიურის მოქმედებისა ანუ გალობისა.
ხახუჭა შენის მახწავლებელისაგან. ესრულ მაგალითებრ: წირვაზედ

როდესაც იქმნება მცირე გამოსვლა სახარებით, წარმოიდგინე თუ
უფალი ჩუმში იქნო ქრისტე, მოსრული სოფლად განათლებისა და
ცხოვრებისათვეს კაცთა ნათებავისა, და გაღობასა ზედა „მოვედით
თაყვანის უცემა“ და შემ., „მესრული შოთარე, შესედავ რა წმიდას
სახარებისა, ცხადად წარმოიდგინე თუ უფალი იქნო ქრისტე, მოსრუ-
ლი სოფლად ქადაგისათვეს სახუფეველისა. ესრულის განზრანებით
უნდამდიერე სავედრებელი გრძნობასი წირვის შესრულებამდინ.

56. წირვაზედ, გულს მოდგინებით გვედრე ღმერთსა უმუშ-
სად მაშინ, როდესაც იგადობონ: „შენ გიგალობთ, შენ გაგურთხვით,
შენ გმადლობთ უფალო, და გეპედრებით შენ ღმერთო ჩუმში, ..
ამ გაღობის დროს მოქმედებითა სულისა წმიდასათა, მო-
წოდებისუბრ საღმრთო მომქმედისათა, შეიცვლების ბური და
დკინო წმიდა ტრაპეზედ, ჭეშმარიტ სორცად და ჭეშმარიტ სის
სლად ქრისტესა, რომელიც უკუც მაშინვე შეიწირვიან ვითარცა
კეთილსასიამოვნონი მდგენი წინაშე ღურთისა ჩუმში უღველოსა,
ცოცხალოსა და მკუდართოთვს.

57. სადაც რომ იყო, სახლში ანუ კლასსში და ას სხუებს
სადმე და გაიგონო შეს წირვის სმა, იგრძნე რომ მოახდომებულა მო-
ქმედება ადხოვდებისა უუპირველების ნაწილის დიტურდისა, მაშინ
შეშით გამოიხსენ პირჯვარი და თუ ადგილი ნებას მოგცემდეს
მუხლიც მოიყარე და სთხოვე ღმერთსა სიცოცხლე და ცხოვრება
შენი და მოუწესთა შენთა.

58. ზიარება წმიდათა ქრისტეს საიდუმლოთა გუქმნების შენ
მაცხოვარებითი, საზრდელად თითქმის ყოველ დღე, როდესაც ღმერ-
თი გადიონებს მდგრადობასა. ადგირდე შენი თავი შიშილსა და
შეუკველებესა შინა, განზრანებით სიმაღლისა და მაცხოვარებითი
მოქმედებისათვეს ჩუმშნედა ქრისტეს საიდუმლოთა.

59. ხურალდეს ხუ მიიღებ ჯეროვანის მოუმზადებლად წმიდათა
ქრისტეს საიდუმლოთა. მოუმზადები რა საზიარებლად, იმარხულე და-

წესებული კრიტიკა; მიიღე საჭმელი და სახმელი მცირებ და
ას ჩვეულებრივ; უოგელ დღე იარე პპლესიაში, და თავისუფალ
დროს იკითხე სადმრთო წერილი და სულის დამატებულები
წიგნები, აგრეთვე ზორავრი სადმრთო ჭეშმარიტებაზედ; შემდგომ
აფურები ცოდნები შენი ღმერთსა წინაშე სულიერის მოძღვრისა.

60. მოქმედები რა ადამიანების სათქმელად, მოიგონე გატა-
ხისმოს მეათე მცნებისა სწავლისებრ, უოგელნი შენი კეთილნი საჭმე-
ნი, რომელთაცა გვამცნებს დამარტინსა, და კგრეთვე ცოდნებიცა,
რომელთაცა გვიგრძელავს ისა ანუ სხეულ მცნება; დაფიქრდი იმ დროს,
მოიგონე რა ცოდვები უფრო ბევრი აღგინიულებია და რა კეთილნი
უფრო მცირებ; მაშინ მიესხუ სინაწელის საიდუმლოსა ცხადის
მგრძნობელობით და შემუშვრილის გულით შენის ცოდვებისათვის, სო-
და სარწმუნოებით და სასორებით ლურის დაუსრულებელს მოწყვლება-
ზედ, რომელიცა მიუტევებს ჭეშმარიტა მონაწელოა და მტკიცე აღ-
თქმის დამდებარება, რომ შემდგომ ამისა იცხოვოს კეთილმსახურებით.

61. პირველ ზიარებისა წმიდათა ჭრისტეს საიდუმლოთა,
შემდგომ შეუხრის ლოცვას წარიკითხე პპლესიური დაწესებული
ლოცვები; სოდღ დილით ზიარების ლოცვები; და ამ გურ მო-
უძნადებელად ნუ მიესდები.

62. იმ დღეს, როდესაც მიიღო წმიდა განმაცხოველებელი
ჭრისტეს საიდუმლო, დაიცემ საკუთარი სიწმიდე სულისა და სორ-
ცისა. რომ მიხვიდე პპლესიაში თავის დროზედ სულით ტანთ-
ჩაცმული, კეთილმოწიწებით ემთხვევ წმიდათა სატთა, რომელნიც
ასენია განკელი, და უკუთუ გაძეს შემდება აუნთე სანთელიცა და
მიეც სებისპერი საკურთხეველში, რომ ამოიღოს მღუდელმან პპე-
თაზედ ნაწილი დღეგრძელობისათვის შენისა და სათესავთა შენთა,
და კგრეთვე საუგუნოდ განხვენებისათვის შენთა მიცვალებულთა.

63. წირვაზედ ლურის შიშით ელოდე იმ შესაძლწუნებულ ჟამ-
სა ზიარებისსა. როდესაც გახსნის ადამიანის კრებასა. მიესხუ

წმიდა ბარძიმს კომალევით; ხიუკარულით და სიმშვიდით დაუთმე
ადგილი მას, ომელესაცა სურს შენზედ წინ ზიარება. პირველ ზიარე-
ბისა მთიყარე მუხლი, დასდეგ წინაშე ბარძიმისა, ხელები დაიკრიბე
ჯვარედინად, გააღე პირი და მიღე წმიდა საიდუმლო შიშით და სი-
კვარულით. მიიღო რა წმიდა საიდუმლო, ემთხვიე ბარძიმსა, უ-
კლად-წმიდის ღურთის-მმობლის სატხსა, და შემდგომ გამოირეცხა
პირი, და დასდეგ შენს ადგილსა, და გულში სთქვი ესრეთ: “დი-
დება შენდა დმურთო, დიდება შენდა დმურთო,, — და დირს-ურთისა-
ოკს შენისა ღურთისადმი შეერთებისა, გულს-მოდგინებით მისმი-
ნე შემდგომ წირვისა სამადლობელი ზიარების ლოცუა, და გამოვედ
შევიდობით ტაძრისაგან ღურთისა.

64. მრთელს იმ დღეს, ოლდებაც უფალი ღირს-გურთს წმი-
დის საიდუმლოს მიღებასა, ეცადე რომ განაცხოველო საგრძნობელი
შენი სულიერის სისარულითა, დაივიწე თუ გქონდეს რამე მწუ-
ხარება. ოლგორ უნდა კწესდეთ მაშინ, ოლდებაც თკთ უფალი იე-
სო ქრისტე დამკვიდებულიარს ჩურც შორის? განატარე ის დღე
ლოცუასა და საღმრთო წერილის კითხებსა შინა; საღამოს ლოცუას
არ დააკლდე; გაათორთხილე სული შენი, რომ არ მოიწიოს მისდა-
მი ცუდნი განზრახვანი; ეგრეთვე გარეგანის მოქმედებითაცა არ
შეამწიკვლო იგი, და გაუფრთხილდი, რომ იმ დღეს შენს ნერ-
წყვეს ფეხი არ დადგა.

65. შენ, ოლგორათაც სასულიერო მოწაიე, უნდა გამოაჩინო
კვალად საგუთარი ქცევა შენის გეთილ-მოქმედებითა, ოლმელთაც შე-
ეძლოსთ დადება ნიშნისა შენ ზედ სასულიეროს განათლებითა.

66. საღმრთო და საეკლესიო წერილების კითხვა უნდა იყოს
სახარულებან სამრომელ ყოველის მართალ-მადიდებელის ქრისტი-
ანისათვეს, — მაგრამ შენთვის უფრო უმეტესად; იკითხე ისინი, რა-
ოდენიც შეგეძლოს ხმირად და დაისწავლე ზეპირათაც. უაჭველად
უნდა იცოდე ფხალმუნები: (50) მიწუალე მე ღმერთო, — (101)

უფასოა შეიძინე ლოცვისა ჩემის, — (90) ორმედი დამკვიდრებულათს შეწყვითა მაღლისათა, და ეგრეთგვე რაოდენიმე დილის და სადამოს ლოცვები. შენს ხიუმაწვილები ადვილი არის ამათი დახმარება, და ორდესაც შეხვად სამსიხურში შენთვის მიუცილებელად საჭირო იქმნება ამათი ცოდნა, და თუ არ გეტოდინება, ან გაგრძელდება მაშინ იმათი დახმარება, და ან შთავარდები უცოდინრობისათვის ცოდებაში ამ უოველ დღე მიუცილებელ საჭირო ლოცვებისაგამო, ორმედიც იციან მრავალთა გეთილაშვილთა ერის კაცთაცა.

67. უოველ დღე, შემდგომ დილის ლოცვისა, ეცადე რომ წაიკითხო თითო თავი „ დაბადებისაგან,, რიგზედ; ჰქმენ ეგრეთგვა შემდეგ სადამოს ლოცვისაცა. ანუ დილით წაიკითხე იმ დღის სახარება და სადამოთი სამოციქულო. რამ იქმნება უკეთეს და უძაბეს მისხა, რომ დღის დაწყება და აღსრულება ჰერ საღმრთო წერილის გითხვითა?

68. თუ შეიძლო, წაიკითხე სოლმე უოველ დღივ ცხოვრება წმიდისა, ორმედი წმიდის ხსენებაც იყოს იმ დღესა; სოლო შენის წმიდის ცხოვრება, ორმედის ხახლი შენ გძევს ეცადე, ორმ გაიგო დაწვლილებით, და გქრადებ იგი უოველითვის ხახდე შენის ცხოვრებისათვის.

69. გოგარდებ და პატივ-ეცა უოველსა საღმრთოსა; უოველითვის შიშითა ღურთისათა ზრახევდი ღურთისათვის; და უოველივე, რაც მიეწერება ღურთის პატივისცემასა, მოიგონებდე სახოებით.

70. ნამდვილად პატივისცემისათვის დღეთა გვირიაკეთა და დღესასწაულთა, იმ დღეებში წირვის გათავებამდინ ნუ იხმევ ნუ რა რას საზრდელსა; ესრეთ შენისთ უოველთა მართლამადიდებელთა ქრისტიანეთა, და უმეტესად შენ, ორდესაც ღმერთი გაღირებას მღედელობის სარისხსა, შეგემთხვევა თითქმის უოველ დღე სადილობამდინ და უფრო კიდევ გვიანებდინ უქმელობა (მარხულობა); ამისათვის წინა უნდა დახმარება შენი თავი საჭმლის და სახმლის მოთმინებასა.

71. პატივ-ეც და გიუვარდეს მღედელობის სარისხი, რომ-
ლისათვისც შენ იზრდები და ემზადები, და პატივ-ეც მღედელო-
ბის, როგორისთვისც მახლობელთა მხასურთა ღწევისათა; შეხაივერის
პატივით ემთხვიე ხელზედ მომცემელელსა შენდა კურთხევისა სახე-
ლითა უფლისა ჩემისას იქთ ქრისტესითა: ‘‘უოვლითა გულით
შენითა გეშინოდეს უფლისა და მღედელობა მისთა პატივ-ეც. და
გეშინოდეს უფლისა და ადიდე მღედელი,, იტევის ბრძენი ისო ზი-
რაჭი (7,34 — 33).

72. ნუ ეჩვენები გარეგანის სახით კეთილმხასურად: ფარი-
სევლობა არის სამინელი ცოდუა! არამედ იუავ ნამდვილი სულით
კეთილმხასური. იქმნები რა დამცელ და აღმასრულებელ უოვლისავა
კეთილმხასურების წესისა და ჰრევისა, როგორისთვისც უსაჭიროები უო-
ვლის კაცისა და უმეტესად უქნოვის, — მაშინ ნუ გრცხვენის და ნურ-
ცა შესწებდები, უკათუ ამისთვის დაგარეჭებას ვინმენ ‘‘სიწმიდის
მჩერებლობა; ამ სიტევისათვის ნუ დაგდებ ნუცა ერთსა ქრის-
ტიანობრივსა კეთილმხასურების წესსა აღუსრულებელად, მო-
იხსენე სმაზედ სიტევები უფლისა ჩემისასი: ‘‘რამეთუ, რომელია
იგი სირცხვილ უჩნდებ ჩემი და სიტევის ჩემთა, ბემანცა კაცისა-
მნ არცხვინობ მას რაფამს მოვიდეს დიდებითა მამისა თვისისათა,
აჩველოსათა თანა წმიდათა (მარ. 8,38). უოველობე გახსოვდეს,
რომ შენ ემზადები ისრეთის წოდებისათვის, რომელშიაც უნდა იყო
‘‘ნათელი სოფლისა,, და ამისთვის უოველის ღონისძიებით
ეცდე, რომ განაშენო თვი შენი კეთილმხნეობითი ცხოვრებითა,
რათა ‘‘ბრწყინვიდეს ნათელი შენი წინაშე კათა, და ისილონ საქმე-
ნი შენი კეთილნი, და ადიდებდენ მამისა ჩემისა ზეცისას (მათ.
5, 14 — 16).

რეს. . . მღედელი ბესარიონ ჭადგინიძე.

წ მ ო ღ ა

მენელსაცხებლი მოციქულთასწორი მარიამ მაგდა-
ლინელა. (*).

წმიდა მარიამ მაგდალინელა იყო შთამამავლობით ახურისტა-
ნელი, მთისგან მაგდალის, რამათზაც ეწოდებოდა მას სახელად
მაგდალინელა. იტანჯებოდარა ეშმაკთაგან, ესმა მას ამჟავა
ჭრისტეს მაცხოვერისა, რომელ იგი განასხამს ეშმაკთა და ჰელინების
უოველთა სხეულებითა. როდესაც იგი ვიდოდა ქალაქითი ქალაქად და
ხოიგდითი სოფლები გადილისა და გამოუცხადებდა უოველთა თა-
ნთა ღუთაებრივთა ძალთა: მაშინ მაგდალინელაც ედირსა მის
პაციონურებითსა გურთხევასა. მოწყალებით შექმედა უიზლ-
მან ტანჯულსა მარიამს და განსხვნა მისგან შვიდნი სახტივნი ეშ-
მაკნი, და ქსრეთ განწყურნა იგი არა შეოდენდ სხეულითა, არამედ
სულითაცა; განახათლა გონება მისი ნათლითა ჭეშმარიტების ცნო-
ბისათა, და მანიშნა მადლი რწმუნებად ჭეშმარიტების ჭრისტესა, მის
ღუთისა, მოვლინებულის მამისაგან საცხომებელად სოფლისა. ამა-
სამიდგან მარიამი იმუოტებოდა ჭრისტეს მოწიმედ და ერთ-გულ
მოხამხახურედ. სხეულის წმიდათა დედათა შორის იგი ემსახურებოდა
მას გადრე გნებადმდე, კვარცმამდე და დაიგვლადმდე, როგორც მოგვი-
თხოვთს წმიდა მახარებელი მათგ: „იუბან მუნ დედანიცა მარგალია

(*) ხელნება მისი — 22 ივლისს.

ოომელნი შორით ხედვიდეს, ოომელნი შეუდგეს იქნას გაღილიათ და მხახურებდეს მას. ოომელია თანა იურ მარიამ მაგდალინელა,,.

სტიროდა მწარედ სედვიდარა წევდებას ქრისტეს, სხეულა დედათა შორის; შეძლებისაებრ ნუგეშს სცემდა უნუგემოდ მტრითადნა უბიწოსა დედასა ლუთისასა და ამაგრებდა მას დაუძლურებულის გულის დონებისაგან, ოომელმანც მსგავსად დახვრისა განგმირა სული მისი. ოცხვას შორის ამა მენელსაცხებულეთა დედათა პირკელი იყო მარიამ მაგდალინელა, ოოგორც სწერს წმიდა მახარებული იოანე; მას ჭეშმარიტად უმეტეს სხეულათ ცრემლით და გლოვით გამოსასა და მწუხარება გულისა თვალის ქრისტესთვეს და ბწუხარებით შეპურობილისა დედისა მისისათვეს; დავარდა წინამე კვარისაგან გარდამოხსნილისა იქნას და კაჭბას წელულებანი მისნი ცრემლითა. ოოგორც მაცხოვრის სიცოცხლეში იყო იგი ურთკულ მოსამსახურედ და თანამდევნელად მისა, ეპრეთვე მიცვალების და საივლავად დადების დროსაც დაშოა ჭეშმარიტ მოწავედ მსხენელისა თვისის. უნდოდა რა უკანასკნელისა ფაშს ერთგზისც შსახურება მისი, იგი უწინერეს სხეულათ დედათა მოვიდა საივლავად ტვირთვასითა ნელსაცხებულითა არა ერთგზის, არამედ სამაგზის, ოოგორც შენიშნავს ეპკლესიური მწერალი ნიკიოზორე ქალისტი თავის პირკელს წიგნში ვვაძე თავში,,, მაგდალინელა სამაგზის მივიდა საივლავად და თრაგზის იხილა ქრისტე, კითარც ამისთვეს ცხედად თქმულარს წმიდა სახარებაში: პირკელად როდესაც ისევ ბნელი (ბინდი) იყო, განაგდო რა უოგელი შიში და უძლურება დედობრივი, მივიდა იგი მეორე მარიამითურთ, და იხილა რა გარდაგორვებული ლოდი საივლავისაგან, სახქაროთ გამობრუნდა უკანებე და აცნობა წმიდა პეტრეს და იოანეს, ომ ადილეს უიჯლი საფლავითო. პეტრე და იოანე მსწრაფელედ მოვიდნენ საივლავად. გავიდა რა მცირე სანი შემდეგ მათის მისვლისა, მივიდა კვალად მარიამ მაგდალინელაც. ოოდესაც კარ სახეს საფლავად ქრისტეს კარ რამე, თანიერ

